



Project name: ROLE OF UNIVERSITIES IN THE REGIONAL DEVELOPMENT

Project acronym: RURD

Project No: 609741-EPP-1-2019-1-GE-EPPKA2-CBHE-SP



WP 2 | Training for HEIs Administration and Local Governing Bodies

Training Kits for HEIs Administration and Local Government



"The European Commission's support for the production of this publication does not constitute an endorsement of the contents, which reflect the views only of the authors, and the Commission cannot be held responsible for any use which may be made of the information contained therein."



უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა, როგორც უნივერსიტეტის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი და მისი როლი რეგიონის განვითარებაში

ტრენინგი თესაუ-ს აკადემიური და ადმინისტრაციული
პერსონალისთვის

Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union



The European Commission's support for the production of this publication does not constitute an endorsement of the contents, which reflect the views only of the authors, and the Commission cannot be held responsible for any use which may be made of the information contained therein.



Erasmus+ CBHE 2018

გრანტის მიმღები/ აპლიკანტი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტი (ATSU)

პროექტის ტიპი:
ეროვნული პროექტი

პროექტის დაწყების თარიღი: 15.11.2019
ხანგრძლივობა: 24 თვე + 12 თვე



პარტნიორები

- ქართველი პარტნიორები: რეგიონალური უნივერსიტეტი
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი www.atsu.edu.ge (კოორდინატორი)
- ქუთაისის უნივერსიტეტი www.unik.edu.ge/
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი www.bsu.edu.ge
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია www.bsma.edu.ge
- ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი www.batu.edu.ge
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი www.zssu.ge
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი www.gu.edu.ge
- იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი www.tesau.edu.ge
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი www.sjuniedu.ge
- კავკასიის უნივერსიტეტი www.cu.edu.ge



პარტნიორები ევროკავშირიდან

- სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტი (ესპანეთი) www.usc.gal
- FH JOANNEUM გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი (ავსტრია) www.fh-joanneum.at
- მასარიკის უნივერსიტეტი (ჩეხეთის რესპუბლიკა) www.muni.cz
- ვიტაუტას მაგნუს უნივერსიტეტი (ლიეტუვა) www.vdu.lt

- სამთავრობო პარტნიორები:
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის ამინისტრო www.mes.gov.ge
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი www.eqe.ge





პროექტის მთავარი მიზანია

ევროკავშირის პარტნიორებთან თანამშრომლობით საქართველოს რეგიონალური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების როლის გაზრდა რეგიონების განვითარებაში, მათი მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის მოდერნიზება, ასევე უნივერსიტეტებსა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება, თითოეული რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით.



პროექტის მიზნები:

- SWOT ანალიზი რეგიონალურ უნივერსიტეტებში
- სატრენინგო მასალები უნივერსიტეტებისთვის
- ევროკავშირის უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარება
- საჭიროებების ანალიზი
- რექტორთა კონფერენციის შექმნა
- სატრენინგო მასალები და ტრენინგები უმაღლესი დაწესებულებების ადმინისტრაციისათვის და ადგილობრივი ხელისუფლებისთვის
- უნივერსიტეტების განახლებული მისია და სტრატეგია
- უმაღლესი დაწესებულებებისთვის და ადგილობრივი ხელისუფლებისთვის პროფესიული განვითარების LLL კურსები
- პროექტის ვებ გვერდი, კონფერენცია
-





თესაუს მისიაა

ქვეყნის შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, მათალკვალი ფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადება სხვა და სხვა მიმართულებით; რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით, ცოდნის შექმნა, დაგროვება და გაზიარება აგრარული მეცნიერებების მიმართულებით, რეგიონის განვითარებისათვის ტურიზმის მიმართულების გაძლიერება და განათლების მიმართულების განვითარების ხელშეწყობა. საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება; მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება და განათლების ინტერნაციონალიზაცია.





თესაუ-ს ხედვა

2025 წლისთვის გახდეს ყველაზე მოთხოვნილი სასწავლებელი რეგიონის მოსახლეობისა და კახეთში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისათვის; გახდეს ერთ-ერთი ინოვაციური უნივერსიტეტი ტურიზმის, განათლების, სოფლის მეურნეობის მიმართულებით; შეიტანოს მნიშვნელოვანი წვლილი კახეთის რეგიონისა და ქვეყნის ეკონომიკურ, საზოგადოებრივ და სოციალურ განვითარებაში.

Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union





სტრატეგიული განვითარების გეგმა

1. ურთიერთობა კურსდამთავრებულებთან და
2. ურთიერთობა თვითმმართველობასთან და ბიზნესთან, რომელიც ჩვენს სატრატეგიულ გეგმაში უკვე იყო მეორე მიზნის მეექვსე ამოცანად გაწერილი.
3. შიდა კონკურენციის გაზრდა პერსონალს შორის- დამატებით ამოცანად დაემატა მეოთხე ძირითად მიზანს.
4. უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის გაძლიერება-გააძლიერებს პირველ ძირითად მიზანს რაც გულისხმობს სტუდენტთა სწავლების, სტუდენტური ცხოვრების დასაქმების და კარიერული წინსვლის ხელშეწყობა, ხოლო
5. ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობისთვის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის ცალკე დოკუმენტის შემუშავება დაემატა ინტერნაციონალიზაციის ძირითად მიზანს ახალ დამოუკიდებელ ამოცანად.





პროექტის კიდევ ერთი მიზანი

პროექტში ჩართულ უნივერსიტეტებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის მემორანდუმების გაფორმება .

თელავის უნივერსიტეტმა წარმატებით გააფორმა მემორანდუმები თელავის მერიასთან, საკრებულოსა და კახეთის გუბერნიასთან.

Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union





მემორანდუმების ძირითადი ამოცანები ასე ჩამოყალიბდა:

- ა. რეგიონის საჭიროებებიდან გამომდინარე, აქტუალურ საკითხებზე ერთობლივი სამუშაო შეხვედრების, სემინარების, სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება/ ჩატარება;
- ბ. პრაქტიკული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განხორციელება კახეთის რეგიონის საჭიროებების გამოსაკვლევად და შესაბამისი გზების დასახვა მის გასაძლიერებლად;
- გ. ერთობლივი სოციალური პროექტების ორგანიზება და განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობას რეგიონის განვითარებისა და გაძლიერების საქმეში;
- დ. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ერთობლივი სასწავლო პროგრამების შემუშავება ან/და კონსულტაციის გაწევა სასწავლო პროგრამებისა და მასალების შემუშავების პროცესში;
- ე. ერთობლივი საზახულო სკოლებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების შემუშავება და განხორციელება;
- ვ. თანამშრომლობა სერტიფიცირებისა და ტრენინგების/კურსების მიმართულებით;





უნივერსიტეტისა და ადგილობრივი ხელისუფლების
მხრიდან რეგიონის განვითარებაზე ზრუნვა ერთ-
ერთი საერთო ინტერესია

იგივე ინტერესი აქვს ბიზნესს, თუმცა შესაძლოა
კერძო ბიზნესის მხრიდან ეს არ იყოს პირდაპირი
რეგიონის განვითარების ინტერესი. რეგიონში
არსებული ბიზნესი პირდაპირ თავის განვითარებაზე
ზრუნავს, ეს კი თავისთავად რეგიონის
განვითარებასაც გულისხმობს. ამიტომ, ამოსავალი
წერტილი ამ სამივე ქვაკუთხედისა იქნება რეგიონის
განვითარების ხელშეწყობა.

Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union





პროექტის კიდევ ერთი მიზანი

პროექტის ფარგლებში მთელი სიცოცხლის მანძილზე (LLL) სასაწავლო კურსების შემუშავება.

თელავის უნივერსიტეტმა ორი კურსი შეიმუშავა.
უნივერსიტეტის როლი რეგიონის განვითარებაში და
სოციალური პასუხისმგებლობის როლის გაძლიერება

ორგანიზაციის სტრატეგიულ დაგეგმარება თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების
გეგმის მაგალითზე.

Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union





კრიტიკიუმებს შორის მნიშვნელოვანია,
რომ უნივერსიტეტი იყოს
კონკურენტუნარიანი, ჰქონდეს თავისი
იმიჯი/ბრენდი, აკმაყოფილებდეს
რეგიონის სტრატეგიულ
მიმართულებას და გაჩნდეს
სოციალური პასუხისმგებლობა.

Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union





უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა

არსებობს სხვა ტიპის ურთიერთობები რაც დამატებით ზრდის თესაუს როლს რეგიონისთვის. ეს არის უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა. რა არის ზოგადად სოციალური პასუხისმგებლობა და რა ესაქმება მას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

სოციალური პასუხისმგებლობა კორპორაციული თვითრეგულაციის ფორმაა, რომელიც ბიზნეს მოდელშია ინტეგრირებული.

ტერმინი “ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა” 1960-იანების ბოლოსა და 70-ანების დასაწყისში დამკვიდრდა. ის ძირითადად სამ კომპონენტს, კომპანიას, მომხარებელსა და დაინტერესებულ პირებს, ანუ “სტეიკჰოლდერებს” აერთიანებს.





სოციალური პასუხისმგებლობა

არის პიარ სუბიექტის ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება დააკმაყოფილოს პრობლემები და გამოწვევები საკუთარი ფუნქციის გარეთ. აქ არ იგულისხმება საზოგადოებისთვის პროდუქტის შეთავაზება ან გადასახადების გადახდა. არამედ, ისეთი რამის გაკეთება, რაც კანონით არ ევალება, ანუ ის, რასაც საკუთარი ნებითა და რესურსებით გააკეთებს,“ .სოციალური პასუხისმგებლობა მნიშვნელოვანია ნებისმიერი კომპანიისთვის და დაწესებულებებისთვის, მით უმეტეს უნივერსიტეტისთვის სადაც ხდება მოქალაქეებისთვის არა მარტო უმაღლესი განათლების მიღება, არამედ მათი სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებაც. თესაუს როგორც მისიაში, ასევე ხედვაშიც ჩანს, რომ უნივერსიტეტს ეს მიზანიც ამოძრავებს სხვა მნიშვნელოვან მიზნებთან ერთად.





ზოგადად, სოციალური პასუხისმგებლობის არსი, შეიძლება ითქვას, თავისებურად ვლინდება ქართულ რეალობაში.

ხშირ შემთხვევაში კომპანიები არანაირ აქტივობას არ ახორციელებენ ამ მიმართულებით, ან მხოლოდ ერთჯერადი საქველმოქმედო აქციებით შემოიფარგლებიან. თუმცა, არიან კომპანიები, რომლებიც აქტიურად მუშაობენ სოციალური პასუხისმგებლობის

- თანამშრომლების მოზიდვისა და შენარჩუნების მეტი უნარი;
- რეკლამირება და სასარგებლო საქმიანობის შექნილი მაღალი საზოგადოებრივი იმიჯი.

მოზიდული სოციალური ინვესტიციები





დღესდღეობით ბევრი წარმატებული უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ანგარიშს უწევს დაინტერესებულ მხარეებს. მათ საქმიანობას მზარდი კორპორაციული პასუხისმგებლობის გათვალისწინების კუთხით საგრძნობი წვლილი შეაქვს ამავე უნივერსიტეტების გრძელვადიან, სიცოცხლისუნარიანობაში.

ზოგ უნივერსიტეტს, ასევე, მიაჩნია, რომ სოციალური პასუხისმგებლობა მათი რისკის მართვისა და რეპუტაციის სტრატეგიის ნაწილია. ისეთ სამყაროში, სადაც ბრენდი და რეპუტაცია უნივერსიტეტის ყველაზე ღირებული ქონებაა, სოციალური პასუხისმგებლობა უნივერსიტეტს ერთგულებასა და ნდობას მოაპოვებინებს, რაც მისი წარმატებული და მდგრადი მომავლის გარანტია.



ბოლო 15 წლის მანძილზე დაინტერესებული მხარეებთან თანამშრომლობის წარმატებული პრაქტიკის მექანიზმების (Coca Cola, Procter & Gamble, Johnson & Johnson) დაადასტურეს, რომ ამ ინტერესების გათვალისწინებით ორჯერ უკეთეს შედეგს მიაღწიეს ვიდრე S&P 500-ით. მათი აქციონერების მთლიანი შემოსავალი ბოლო 15 წლის მანძილზე 43 პროცენტს შეადგენდა, მაშინ როცა S&P 500-ისა (S&P 500, Standard and Poor's 500-ის აბრევიატურა, შეერთებულ შტატებში, საფონდო ბირჟის ინდექსი, რომელიც აკონტროლებს 500 საჯარო ვაჭრობის ადგილობრივ კომპანიას. ბევრი ინვესტორი მიიჩნევს, რომ ეს არის ამერიკის საფონდო ბირჟის მუშაობის საუკეთესო საზომი) მხოლოდ 19 პროცენტს (Schmidt, 2000).



ეს შედეგი დაადასტურა ჰარვარდის უნივერსიტეტმაც. მისი გამოკვლევების მიხედვით დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობაზე ორიენტირებული კომპანიები საკუთარ აქციონირებზე ფოკუსირებულ კომპანიებთან შედარებით ზრდის ტემპში ორჯერ და დაქირავებაში რვაჯერ მეტ ადამაზღობას აჩვენებენ (Harvard University, 2000).

- კვლევებმა ასევე დაადასტურა, რომ კორპორაციები, რომელსაც საზოგადოებრივი ვალდებულება ეთიკის კოდექსით აქვთ განმტკიცებული, სხვა ფირმებთან შედარებით 2 და 3 - ჯერ უკეთესად მოქმედებენ (Business and Society Review, 1999).

ბევრი ექსპერტი იმასაც ამტკიცებს, რომ სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიები ფინანსურ მახასიათებლებს მეტი ინვესტირების მოზიდვითაც აუმჯობესებენ. მაგალითად, 15 უმსხვილესი სოციალური ფონდიდან 9 - ინვესტირების მხრივ უმაღლეს კვარტალურ ჯგუფშია (Social investment forum www.socialinvest.org).





რამდენიმე კომპანიამ უკვე გამოაქვეყნა მათი რეპუტაციის შექმნაში სოციალური პასუხისმგებლობის წვლილის აღმნიშვნელი ციფრობრივი მაჩვენებლები. ეს პირველმა `Co-op` ბანკმა გააკეთა. ანალიტიკოსების ანგარიშით `Co-op`-ის ეთიკურმა და ეკოლოგიურმა მიდგომამ მნიშვნელოვანი პირდაპირი წვლილის სახით ბანკის რენტაბელობაში დაახლოებით 20%25 შეიტანა.

„ბრიტანეთის ტელეკომმაც“ სოციალური პასუხისმგებლობასა და კორპორაციული რეპუტაციის შორის კავშირის დასადასტურებლად ოფიციალური ციფრები გამოაქვეყნა. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საქმიანობით შეძენილმა იმიჯმა და რეპუტაციამ კონკურენტულ ბაზარზე საბაზრო წილის დაკავებასა და შენარჩუნებაში დიდი სამსახური გაუწია. იმიჯის და რეპუტაციის გავლენით მომხმარებლის კმაყოფილების მიღწევაში სოციალური პასუხისმგებლობისწვლილი 25 პროცენტზე მეტია.

Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union





მდგრად განვითარების პრინციპების შესაბამისად უნივერსიტეტისათვის პრიორიტეტულია სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი პროგრამები. ამასთან, სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის ქვეშ, უნივერსიტეტი განავითარებს როგორც საექსპერტო და საკონსულტაციო მომსახურეობას, ასევე მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლებას. უნივერსიტეტი, აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობიდან გამომდინარე, განიხილავს სოციალურ პასუხისმგებლობას, როგორც საუნივერსიტეტო საზოგადოების, ისე ქალაქის, რეგიონის და ზოგადად, ქვეყნის მოსახლეობის მიმართ. უნივერსიტეტი თავის უმთავრეს მოვალეობად მიიჩნევს სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვას, როგორც საუნივერსიტეტო საქმიანობაში, ისე საზოგადოებაში. შესაბამისად, თესაუ-ს კურსდამთავრებულებს აქვთ მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა, აცნობიერებენ ეთიკურ და გარემოსდაცვით გამოწვევებს, რომლებიც შეიძლება შეხვდეთ სამუშაო ადგილებზე.





თელავის უნივერსიტეტისთვის სოციალური პასუხისმგებლობა შემდეგი მიმართულების გაძლიერებისკენაა მიმართული. ესაა

სოციალური პროგრამები და ღონისძიებები:

უნივერსიტეტი დაინტერესებულია ადგილობრივი და რეგიონული თემის სოციალური განვითარებით და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობით, რისთვისაც ახდენს სხვადასხვა სოციალური პროგრამის რეალიზებას, ხელს უწყობს უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტების ჩართვას საქველმოქმედო საქმიანობაში.

საზოგადოებისათვის სოციალური და ინფრასტრუქტურის ობიექტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

საქველმოქმედო და მოხალისეობრივი საქმიანობის განხორციელება და მხარდაჭერა მათთვის, ვისაც სჭირდება დახმარება (მათ შორის მრავალშვილიანი ოჯახები და სოციალურად დაუცველები).

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება სოციალურად დაუცველებისთვის და ყველა ნებისმიერი მსურველისთვის

უნივერსიტეტის ღია და დახურული სპორტ დარბაზებით სარგებლობა სოციალურად დაუცველებისთვის და ყველა ნებისმიერი მსურველისთვის;

სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის ფულადი ჯილდოს გადაცემა

სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის მოქნილი გრაფიკის შეთავაზება





კულტურული პროგრამები და ღონისძიებები

უნივერსიტეტი თავად არის ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მატარებელი და ზრუნავს ამ მემკვიდრეობის დაცვაზე და განვრცობაზე, ასევე თანამედროვე კულტურის წარმოჩენა- განვითარებაზე. უნივერსიტეტის მდებარეობა თელავში - ევროპის უძველეს ქალაქში, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს უნივერსიტეტის კულტურული პროგრამების შინაარსს, რომელიც მიმართულია ქართული კულტურის ტრადიციების შენარჩუნებაზე და პოპულარიზაციაზე, თანამედროვე კულტურული ცხოვრების განვითარებაზე. უნივერსიტეტის ცეკვისა და სიმღერის ანსამბლის მოღვაწეობა და შესაბამისი კონცერტები;

უნივერსიტეტის სტუდენტური თეატრის მოღვაწეობა და შესაბამისი სპექტაკლები;
უნივერსიტეტის თანამშრომელთა და სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა/ჩვენება საერთაშორისო და რეგიონული სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენციები;
კულტურული მემკვიდრეობაზე ზრუნვა და იუნესკოს არამატერიალური ძეგლების პოპულარიზაციაზე ზრუნვა





ეკონომიკური პროგრამები და ღონისძიებები

თესაუ-ს აკადემიური და პროფესიული პროგრამების, ასევე კვლევითი საქმიანობის მრავალფეროვნება განაპირობებს უნივერსიტეტის ჩართულობას და მისი კურსდამთავრებულების დასაქმებას საქმიანობის ყველა სფეროში. ადგილობრივი და რეგიონული მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი პროგრამები

სასტიპენდიო პროგრამები თესაუ-ს სტუდენტებისათვის;
ბიზნეს ინკუპატორების დაარსება ან ხელისშეწყობა;
უფასო ბიზნეს კონსულტაციების გაწევა
დასაქმების ბაზრის კვლევა და განვითარების ტენდენციების გამოვლენა;
რეგიონის ტურისტული და რეკრეაციული პოტენციალის გაუმჯობესებასა და რეკლამირებაზე
მიმართული ღონისძიებები;
მონაწილეობა რეგიონის და ქალაქის სტრატეგიული განვითარების გეგმების შემუშავებასა და
განხორციელებაში





გარემოსდაცვითი პროგრამები და ღონისძიებები

უნივერსიტეტი ისწრაფვის თავის საქმიანობაში დანერგოს თანამედროვე გარემოსდაცვითი მიდგომები, სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს შესთავაზოს გარემოსდაცვითი განათლებისა და მდგრადი განვითარების საკითხებზე ორიენტირებული აკადემიური და პროფესიული პროგრამები, პრაქტიკულად დანერგოს მწვანე მიდგომები უნივერსიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში, განავრცოს არსებული ცოდნა საზოგადოებაში, ხელი შეუწყოს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის განვითარებას და შესაბამისი მიდგომების დანერგვას. თესაუს პროფესორები ჩართულები არიან ქალაქის სიმბოლოს, „ჭადრის“ გადარჩენის პროცედურაში საზოგადოებაში გარემოსდაცვით საკითხებზე დიალოგის და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობაში; უნივერსიტეტის ტერიტორიაზე და თემში მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა და განვითარება; ქალაქის გამოყენების შემცირების მიზნით ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული სწავლების სისტემის დანერგვა.

Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union





საექსპერტო და საკონსულტაციო მომსახურეობა

უფასო იურიდიული კონსულტაციების გაწევა თესაუ-ს იურიდიული კლინიკების მიერ;

უფასო კონსულტაციები აბიტურიენტებისთვის;

უნივერსიტეტი წარმოადგენს გამოცდილებისა და პროფესიონალური ცოდნის გაზიარების წამყვან ცენტრს საზოგადოებისათვის.

პროფესიონალური ცოდნის გაზიარებისა და მეცნიერების პოპულარიზაციის პროექტი „სამეცნიერო პიკნიკი“; მონაწილეობის მიღება

უნივერსიტეტის თანამშრომელთა ინდივიდუალური პროფესიონალური კონსულტაციები და ინტერვიუები მედია-წარმომადგენლებისათვის;

სხვადასხვა საექსპერტო მომსახურეობები პროფესიონალური კონსულტაციები უნივერსიტეტის აკადემიური რესურსებისა და მატერიალური ბაზის გამოყენებით.

წინანდლის კარტოგრაფიული რუკის შედგენა და უფასოდ მოსახლეობისთვის შეთავაზება.

უნივერსიტეტის ნიადაგისა კვლევისა ლაბორატორიაში კახეთის ფერმერებისთვის მიწის ანალიზის გაკეთება და მათთვის შესწავლის რეკომენდაციების გაცემა.





გამოყენებული ლიტერატურა:

Getting the Most Out of University Strategic Planning, Goldman and Salem, Rand Corp, 2015

cmigestion, Francisco Paez -

<http://cmigestion.es/2012/11/06/planificacion-estrategica-iii-conceptos-clave/>

Threadsculture : How to Create Your Organization's Core Values [https:// www.threadsculture.com/createyour-core-values](https://www.threadsculture.com/createyour-core-values)

<http://www.managingforimpact.org/tool/problem-tree-0>





დიდი მადლობა

Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union

